www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

2022 წელი III კვარტალი

(წინასწარი)

09.12.2022

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2022 წლის III კვარტალი

(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2022 წლის III კვარტალში 745.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წლის III კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე ორჯერ მეტია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2020-2022 წლებში.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2020-2022 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

09.12.2022

ცხრილი №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში

(მლნ. აშშ დოლარი)

წელი	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	**1 171.2**
2007	330.8	375.3	470.6	588.0	**1 764.7**
2008	540.1	607.7	136.1	291.3	**1 575.2**
2009	114.5	178.3	179.1	194.9	**666.8**
2010	176.1	211.5	236.8	241.2	**865.6**
2011	222.6	273.1	309.1	329.2	**1 134.0**
2012	312.4	248.0	220.5	267.3	**1 048.2**
2013	291.8	224.1	271.6	251.6	**1 039.2**
2014	331.9	217.6	749.5	538.0	**1 837.0**
2015	343.4	493.2	531.1	361.0	**1 728.8**
2016	392.9	452.6	507.8	300.6	**1 654.0**
2017	415.0	398.1	637.0	540.5	**1 990.5**
2018	337.3	423.3	373.0	218.0	**1 351.5**
2019	318.4	249.6	406.2	378.0	**1 352.2**
2020	173.8	246.4	296.9	-127.2	**589.8**
2021	134.3	322.5	373.9	411.1	**1 241.8**
2022*	576.9	353.4	745.3		**1 675.6**

*წინასწარი მონაცემები.

09.12.2022

2022 წლის III კვარტალში სააქციო კაპიტალი, წინა წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით 6-ჯერ გაიზარდა და 226.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30.3%-ია. რეინვესტიციამ 446.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და შესაბამისად მისი წილი 60.0 პროცენტით განისაზღვრა.

ცხრილი №2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით, 2021-2022 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2021				სულ	2022*		
	I	II	III	IV		I	II	III
სულ	**134.3**	**322.5**	**373.9**	**411.1**	**1 241.8**	**576.9**	**353.4**	**745.3**
მათ შორის:								
სააქციო კაპიტალი	29.7	39.4	37.9	103.2	**210.3**	255.2	94.7	226.0
რეინვესტიცია^	73.5	251.2	293.5	151.7	**769.9**	318.7	240.3	446.9
სავალო ვალდებულებები^^	31.1	31.8	42.6	156.1	**261.6**	2.9	18.5	72.4

*წინასწარი მონაცემები.

^ რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.

^^ სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

09.12.2022

2022 წლის III კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა (ცხრილი №3):

ცხრილი №3

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2022 წლის III კვარტალში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2021				სულ	2022*		
	I	II	III	IV		I	II	III
სულ	**134.3**	**322.5**	**373.9**	**411.1**	**1 241.8**	**576.9**	**353.4**	**745.3**
მათ შორის:								
ესპანეთი	1.2	1.5	2.5	9.2	**14.4**	196.1	1.6	165.9
გაერთიანებული სამეფო	89.9	122.9	59.7	331.0	**603.6**	87.2	64.6	122.9
ირლანდია	0.3	0.2	0.4	0.1	**1.1**	-0.1	0.2	120.3
აშშ	-59.7	4.5	31.8	39.8	**16.4**	31.5	6.2	64.6
ნიდერლანდები	10.9	49.6	65.3	12.5	**138.3**	32.8	44.8	47.8
რუსეთი	35.7	12.6	18.8	8.5	**75.5**	-8.5	-0.5	41.8
იაპონია	7.6	24.6	-11.4	-16.5	**4.3**	7.9	41.8	29.6
ჩეხეთი	13.6	30.7	35.6	0.9	**80.8**	6.1	26.6	24.3
ვირჯინის კუნძულები (ბრიტ.)	-4.8	2.3	4.6	-22.9	**-20.8**	8.0	4.1	17.9
დანია	10.6	-26.9	9.7	8.8	**2.1**	8.7	10.1	9.9
დანარჩენი ქვეყნები	29.0	100.6	156.9	39.7	**326.1**	207.2	153.9	100.3

*წინასწარი მონაცემები.

პირველ ადგილზეა ესპანეთი - 165.9 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22.3 პროცენტს შეადგენს, მეორე ადგილზე იმყოფება გაერთიანებული სამეფო - 122.9 მლნ. აშშ დოლარით (16.5 პროცენტი), ხოლო მესამეზე ირლანდია - 120.3 მლნ. აშშ დოლარით (16.1 პროცენტი). 10 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 86.5 პროცენტს შეადგენს.

2022 წლის III კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე №2.

დიაგრამა №2

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი
2022* წლის III კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2022 წლის III კვარტალში, ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2021-2022 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

	2021				სულ	2022*		
	I	II	III	IV		I	II	III
სულ	**134.3**	**322.5**	**373.9**	**411.1**	**1 241.8**	**576.9**	**353.4**	**745.3**
მათ შორის:								
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	26.4	27.1	9.3	47.3	**110.1**	80.3	72.5	265.3
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	98.7	148.4	90.8	127.4	**465.3**	117.6	47.6	159.0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	-9.8	11.3	17.4	213.5	**232.4**	4.3	11.9	143.2
დამამუშავებელი მრეწველობა	21.9	53.1	51.2	7.1	**133.3**	38.1	41.2	38.1
ტრანსპორტი და დასაწყობება	-4.4	-18.0	27.5	-0.9	**4.2**	21.9	13.2	35.4
ინფორმაცია და კომუნიკაცია	-67.8	-4.0	15.6	20.2	**-36.0**	14.6	-19.3	24.3
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	-1.0	-5.6	6.4	-2.7	**-2.9**	11.3	11.0	16.5
მშენებლობა	-11.9	-9.6	1.7	-4.9	**-24.7**	22.6	30.5	15.7
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება; წყალმომარაგება	40.4	66.9	117.8	-39.2	**185.9**	236.5	76.6	9.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	12.6	4.3	5.3	4.5	**26.8**	2.0	-1.0	3.7
დანარჩენი სექტორები	29.2	48.7	30.9	38.7	**147.4**	27.8	69.3	34.7

*წინასწარი მონაცემები.

2022 წლის III კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორში განხორციელდა და 265.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35.6 პროცენტია. მეორე ადგილს იკავებს საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორი - 159.0 მლნ. აშშ დოლარით (21.3 პროცენტი), ხოლო მესამეზე იმყოფება ხელოვნების, გართობის და დასვენების სექტორი 143.2 მლნ. აშშ დოლარით (19.2 პროცენტი).

2022 წლის III კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე №3:

09.12.2022

დიაგრამა №3

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2022* წლის III კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

წყარო:
1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ");
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

2018 წლის მარტიდან (სსფ-ის რეკომენდაციის შესაბამისად) საქსტატმა დაიწყო საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკის გამოქვეყნება ინტეგრირებული ფორმატით, რაც საშუალებას აძლევს ეკონომიკურ სუბიექტებს, რეგულარულად მიაწოდონ საქსტატს დაზუსტებული ინფორმაცია. საქსტატი, თავის მხრივ, იყენებს აღნიშნულ შესაძლებლობას და მუდმივად ახორციელებს მონაცემთა განახლებას სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლების მიზნით.

2022 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2023 წლის 15 აგვისტოს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს წინა პერიოდების მონაცემების ცვლილება.

საკონტაქტო პირები:

ნინო მაისურაძე, ტელ.: (+995 32) 2 36 72 10 (303)
E-mail: nmaisuradze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი ტელ.: (+995 32) 2 36 72 10 (020).
E-mail: mkavelashvili@geostat.ge